

შპს „ცმლ“

ს/კ 427736284

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

ქ.გურჯაანი

2023 წელი

სარჩევი

ფინანსური ანგარიშგება :

სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა - განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....	3
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი.....	4
3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა.....	5
4. ძირითადი საშუალებები.....	6
5. სასაქონლო - მატერიალური ფასეულობები.....	7
6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	8
7. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	8
8. ფინანსური რისკების მართვა.....	8
9. კაპიტალის მართვა.....	8
10. იჯარა.....	9
11. უცხოური ვალუტის გადაფასება.....	9

ფინანსური მდგომარეობის უწყისი-----

• საქმიანობის შედეგი-----

ფულადი ნაკადების ანგარიშგება-----

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება-----

1. ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ცმლ,, , როგორც კერძო სამართლის იურდიული პირი, 2018 წლის 16 იანვარს „მეწარმეთა შესახებ,, საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად დაფუძნებული/რეორგანიზებული იქნა საჯარო რეესტრის გურჯაანის მუნიციპალიტეტის მიერ რეგისტრაციის # B18003616.

საზოგადოების საგადასახადო რეგისტრაცია (აღრიცხვაზე აყვანა) განახორციელა სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციამ და მიანიჭა გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი 427736284; დღგ-ს გადამხდელია 23 იანვარი 2018 წელი.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დამფუძნებელს წარმოადგენს ფიზიკური პირი:

- გიორგი უტიაშვილი - წილი 100 %

ანგარიშგების მომზადების დროს იურდიულ მისამართს წარმოადგენს: საქართველო ; ქ.გურჯაანი თელავის ქუჩა N4. ფაქტიური მისამართებია:

- ქ.გურჯაანი; თავისუფლების ქუჩა N148
- თელავის რაიონი; სოფ.შალაური
- ყვარლის რაიონი; სოფ.სანავარდო
- ქ.თბილისი; გურამიშვილის ქუჩა N64

საანგარიშო პერიოდში საზოგადოების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საამშენებლო საქმიანობაში გამოსაყენებელი მეტალო-პლასტმასის მასალის და აქსესუარების საბითუმო ვაჭრობა, რომელიც წარმოადგენს როგორც იმპორტირებულ საქონელს თურქეთის და სასომხეთის რესპუბლიკებიდან, ასევე ადგილობრივი ბაზრიდან. რეალიზაციას ვახორციელებთ ზემოთ ჩამოთვლილ მისამართებზე.

საანგარიშო პერიოდში საზოგადოებას შვილობილი კომპანიები არ გააჩნია.

01.01.2023 წლისათვის საზოგადოებაში მუშაობდა 22 თანამშრომელი, ხოლო საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის 01.01.2024 წლისათვის 26 თანამშრომელი

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისათვის საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) 2018 წლის რედაქციის მიხედვით.

წინამდებარე ანგარიშგება წარმოადგენს საზოგადოების მეექვსე ფინანსური ანგარიშგებას 2018 წელს ჩაბარდა მეოთხე კატეგორიის ფინანსური ანგარიშგება ხოლო 2021 წლიდან არის უკვე მესამე კატეგორია. მსს ფასს-ის შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს საზოგადოებას არ გაუკეთებია რაიმე სახის კორექტირება, იქიდან გამომდინარე, რომ მსს ფასს-ზე გადასვლას არ ჰქონდა არსებითი გავლენა საზოგადოების ფინანსურ ანგარიშგებაზე.

წლიური ფინანსური ანგარიშგება ემყარება დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე. საზოგადოება არ ფლობს ისეთ აქტივებსა და ვალდებულებებს, რომელთა შეფასება უნდა მომხდარიყო რეალური ღირებულებებით.

საწარმოს საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს, ფინანსური ანგარიშგება შედგენილია 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

საწარმოს საანგარიშგებო ვალუტაა ქართული ლარი. ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ერთეულამდე სიზუსტით.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია საზოგადოების სააღრიცხვო პოლიტიკის ის არსებითი ნაწილი, რომელიც თანმიმდევრულად გამოიყენებოდა წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მიმართ.

მოქმედი და წარსადგენი ვალუტა

საზოგადოების მოქმედი (სამუშაო) ვალუტა არის და შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების წარსადგენად გამოყენებულია ეროვნული ვალუტა „ლარი“, რომელიც ასახავს ძირითად მოვლენებისა და მათთან დაკავშირებული შესაბამისი გარემოებების ეკონომიკურ არსს.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები შედგება საზოგადოების ხელთ არსებული ბანკნოტებისა და მონეტებისაგან და ბანკებში არსებულ შეუზღუდავ ანგარიშებზე არსებული ნაშთისგან.

უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში გადაანგარიშებულია ბალანსის შედგენის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით.

ამონაგების აღიარება

ამონაგები მოიცავს მხოლოდ საზოგადოების მიერ თავის ანგარიშზე მიღებულ ან მისაღებ ეკონომიკური სარგებლის საერთო თანხას. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით.

ამონაგების აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია მოცემული ოპერაციიდან ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საზოგადოებაში, როდესაც ჩნდება განუსაზღვრელობა ამონაგებში უკვე ჩართული თანხის მიმართ,

ამოუღებელი თანხა ანუ თანხა, რომლის ამოღების ალბათობა ნულის ტოლია, აღიარებული იქნება როგორც ხარჯი.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ღირებულება აქტივად აღიარდება თუ მოსალოდნელია რომ საზოგადოება მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

ძირითადი საშუალების ერთეული, რომელიც აკმაყოფილებს აქტივის აღიარების კრიტერიუმებს ფასდება მისი თვითღირებულებით. ძირითადი საშუალებების ერთეულის თვითღირებულება განისაზღვრება აღიარების დღისათვის თანადროული გადახდისას გადასახდელი ფასის ექვივალენტით. თუ გადახდა გადავადებულია და საკრედიტო პირობა სცილდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების ფარგლებს, მაშინ ამ თანხასა და მთლიან გადასახდელ თანხას შორის სხვაობა აღიარებული იქნება როგორც საპროცენტო ხარჯი კრედიტის ვადის განმავლობაში, ან მოხდება მისი კაპიტალიზაცია, თუ გადავადებული გადახდა უკავშირდება განსაკუთრებულ აქტივს.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საზოგადოება ყველა ძირითად საშუალებას აღრიცხავს მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

ძირითადი საშუალების ყოველ ერთეულს ცვეთა ერიცხება ცალ-ცალკე. ყოველი პერიოდის ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგებაში ან ზარალში, აქტივის ცვეთად ღირებულება ნაწილდება სისტემატურ საფუძველზე, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში დარიცხვის შემცირებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით. აქტივზე

ცვეთის დარიცხვა მაშინ იწყება, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც აქტივი არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად, ხელმძღვანელობის მიერ დასახული ამოცანების მიზნებისათვის.

საზოგადოება ძირითადი საშუალების ყოველდღიური საექსპლოატაციო მომსახურების დანახარჯებს აღიარებს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რძმლის განმავლობაშიც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადა გადაისინჯება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს და მოსალოდნელი მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა შეფასებებისაგან, ცვლილებები აისახება როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით საზოგადოებისათვის.

ძირითადი საშუალების ერთეულის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აისახება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა. შემოსულობა არ უნდა კლასიფიცირდეს როგორც ამონაგები.

ძირითადი საშუალებების ცვეთა დარიცხულია შემცირებადი ნაშთის მეთოდით, აქტივები ბალანსში ასახულია თავდაპირველ (ისტორიული) ღირებულებას აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით.

5. სასაქონლო - მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო - მატერიალური ფასეულობები შეფასებულია თვითღირებულებასა და მის დასრულებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით.

მარაგების თვითღირებულების გაანგარიშება ხდება საშუალო შეწონილი მეთოდით. შპს მუშაობს პროგრამა „ბალანსში“.

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

საზოგადოება საქონლისა და მომსახურების გაყიდვებს ახორციელებს ნორმალურ საკრედიტო პირობებში, აქედან გამომდინარე, მოთხოვნებზე პროცენტის დარიცხვა არ ხდება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საზოგადოება ახდენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების შეფასებას, რათა განისაზღვროს, ხომ არ არსებობს თანხების ამოუღებლობის რაიმე ობიექტური მტკიცებულება. ასეთი არსებობის შემთხვევაში, ხდება საექვო მოთხოვნების შეფასება და გაუფასურების ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში.

ნორმალურ საკრედიტო პირობებში, აქედან გამომდინარე, მოთხოვნებზე პროცენტის დარიცხვა არ ხდება.

7. სავაჭრო სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ნორმალურ საკრედიტო პირობებში განხორციელებული ოპერაციების დროს წარმოშობილ ვალდებულებებს, რომლებიც პროცენტის მატარებელი არ არის.

8. რისკების მართვის პოლიტიკა და პროცედურები

ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებული რისკების მართვის პოლიტიკა მიზნად ისახავს საზოგადოების წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებას, ანალიზსა და მართვას, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესების, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგის გზით.

9. კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვასთან დაკავშირებით საზოგადოების მიზანია შეინარჩუნოს და გააგრძელოს საქმიანობა შემდგომში, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ ისე, რომ შეძლოს დამფუძნებლისთვის მოგების მიცემა.

დივიდენდი არღებთან დაკავშირებით საზოგადოების მიზანია შეინარჩუნოს და გააგრძელოს საქმიანობა შემდგომში, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ ისე საზოგადოების შესაძლებლობა, გამოაცხადოს და გადაიხადოს დივიდენდი, ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობის მიერ დაწესებულ წესებსა და ნორმებს. გაუნაწილებელ მოგებაში დივიდენდების ასახვა ხორციელდება, მათი გამოცხადების პერიოდში.

10. იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს იჯარა აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას.

იჯარის კლასიფიკაცია ხდება იჯარის დასაწყისში და არ იცვლება მისი ვადის განმავლობაში. თუ შემდეგ მოიჯარე და მეიჯარე გადაწყვეტენ საიჯარო პირობების შეცვლას (იმ შემთხვევის გარდა, როდესაც უბრალოდ იჯარა განახლდება), აუცილებელია იჯარის კლასიფიკაციის გადახედვა.

11. უცხოური ვალუტის გადაფასება

უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგებები აღირიცხება იმ გაცვლითი კურსის შესაბამისად, რომელიც არსებობს ოპერაციის თარიღისათვის. უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი გაცვლითი კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები
 გადაყვანილია ქართულ ლარებში (საზოგადოების სამუშაო ვალუტა) საქართველოს
 ეროვნული ბანკის მიერ საანგარიშო პერიოდის ბოლო თარიღისათვის
 გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები		
ვალუტის სახეობა	31/12/2022	31/12/2023
1 აშშ დოლარი	2.702	2.6894

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები
 გადაყვანილია ქართულ ლარებში (საზოგადოების სამუშაო ვალუტა) საქართველოს
 ეროვნული ბანკის მიერ საანგარიშო პერიოდის ბოლო თარიღისათვის
 გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

შპს ცმლ
 დირექტორი გიორგი უტიაშვილი
 მთ.ბუღალტერი ნანა გოგებაშვილი



შპს ცმლ ს/კ 427736284
 ფინანსური მდგომარეობა
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

მაჩვენებლის დასახელება	31.12.2023 23:59:59	31.12.2022 23:59:59	31.12.2021 23:59:59
აქტივები	2031058	1975127	1576571
ფული და ფულის ეკვივალენტები	11153	33311	3106
საგაჭრო მოთხოვნები	362560	286924	201445
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	525	17165	129
მარაგები	1578007	1569180	1335348
მზა პროდუქცია			
სხვა			
საინვესტიციო ქონება			
სხვა მიმდინარე აქტივები			
ბიოლოგიური აქტივები			
თვითღირებულების მოდელით			
გადაფასების მოდელით			
გუდვილი			
სხვა არამატერიალური აქტივები			
ძირითადი საშუალებები	78813	68547	36543
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში			
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში			
სხვა გრძელვადიანი აქტივები			
სულ საკ. კაპიტალი და ვალდ-ბა	2031058	1975127	1576571
ვალდებულებები	943105	1000453	813722
ფინანსური იჯარის ვალდებულება	43491	462413	239393
საგაჭრო ვალდებულებები			
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები			
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		0	0
საგადასახადო ვალდებულებები	41347	0	4588
გამოუმუშავებელი შემოსავალი			
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	858267	538040	454812
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები			
მიღებული გრანტები			
სხვა ვალდებულებები	0	0	114929
საკუთარი კაპიტალი	1087953	974674	762849
ბაჟიციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')			
საემისიო შემოსავალი			
გამოსყიდული საკუთარი აქციები			
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	1087953	974674	762849
გადაფასების რეზერვი			
სხვა რეზერვები			

შპს ცმლ

დირექტორი

მთ. ბუღალტერი



შპს ცმლ ს/კ 427736284
 საქმიანობის ანგარიში
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

მაჩვენებლის დასახელება

31.12.2023 23:59:59 31.12.2022 23:59:59

ნეტო ამონაგები		
საქონლის გაყიდვიდან	5172941	4502508
მომსახურების გაწევიდან		
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		
სხვა		
რეალიზებული პროდუქციის	-4180234	-3644195
თვითღირებულება		
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საერთო მოგება	992707	858313
სხვა შემოსავალი	97707	164976
დასაქმებულთა ანაზღაურება	-432152	-372449
კვლევა და ამორტიზაცია	-14661	-6875
საპროცენტო შემოსავალი		
საპროცენტო ხარჯი	-50651	-26366
იჯარის ხარჯი	-156636	-135433
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-251982	-205817
სულ საოპერაციო ხარჯები		
საოპერაციო მოგება	184332	276349
გაუფასურების (ხარჯი)/		
ფინანსური აქტივები		
ძირაგები		
სხვა არაფინანსური აქტივები		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი)		
საქალაქო ოპერაციებიდან		
მიღებული დივიდენდები		
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		
მოგება/(ზარალი) მოგების	184332	276349
გადასახადის ხარჯამდე		
მოგების გადასახადი		
მოგება/(ზარალი)	184332	276349
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი)		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი		
სხვა		
სხვა სრული შემოსავალი /		
მთლიანი სრული შემოსავალი/		
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	974674	762849
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-71053	-70698
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		6174
კაპიტალის სხვა ცვლილებები		
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1087953	974674

შპს ცმლ

დირექტორი

მთ.ბუღალტერი



შპს "ცმლ" ს/კ 427736284

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

(საოპერაციო საქმიანობიდან ნაკადების წარდგენის პირდაპირი მეთოდით)

	31.12.2023	31.12.2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი ს	8,946,258	8,315,530
სხვა შემოსულობანი საოპერაციო საქმიანობიდან	0	0
ზარალის დასაფარავად (ზიანის ასანაზღაურებლად) მიღებ	0.00	0.00
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(4,995,570.00)	(4,019,007.00)
გაცემული შრომის ანაზღაურება	(339,170.00)	(287,621.00)
ტრანპორტირების გადახდა	(19,928.00)	(52,048.00)
ანგარიშვალდებულ პირებზე გაცემული ავანსები	(2,997,837.00)	(3,108,891.00)
მყიდველისთვის თანხის უკან დაბრუნება	1,457.00	140.00
გადახდილი გადასახადები (მოგების	(802,270.00)	(716,840.00)
გადასახადის გარდა)		
გადახდილი მოგების გადასახადი	(20,569.00)	(12,476.00)
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული	(9,824.00)	(7,892.00)
სხვა გაცემები		
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანო	(237,453)	110,895
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა		0
ძირითადი საშუალებებისა და არამატ. აქტივების გასვლიდ	0.00	0.00
გრძელვადიანი ინვესტიციების შეძენა	0.00	0.00
გრძელვადიანი ინვესტიციების გასვლიდან შემოსულობან	0.00	0.00
მიღებული პროცენტები	0	0.00
მიღებული დივიდენდები	0.00	0.00
მიღებული მოგების წილი ერთობლივი საქმიანობიდან	0.00	0.00
სხვა შემოსულობანი / განაცემები საინვესტიციო საქმიანობ	0.00	0.00
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანო	0	0
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:		
სახელმწიფო ხაზინა დღგ-ს ზედმეტობის უკან დაბრუნება	8,861	4,735
საკუთარი აქციების გამოსყიდვა ან გაცემები კაპიტალის შე	0	0
სესხების აღება	1,640,028	638,586
სესხების დაფარვა	(1,310,313)	(505,929)
ფინანსური იჯარის (ლიზინგის) ვალდებულებების დაფარ	0	0
გადახდილი პროცენტები	(50,566)	(133,499)
გადახდილი დივიდენდები	(67,500)	(67,130)
გადახდილი მოგების წილი ერთობლივი საქმიანობიდან	0	0
სხვა შემოსულობანი / გაცემები საფინანსო საქმიანობიდან	(5,215)	(17,420)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობი	215,295	30,205
ვალუტის კურსის ცვლილ. გამოწ. ზრდა / კლება (ნეტო)	0	0
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	(22,158)	30,205
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისი	33311	3106
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათ	11153	33311

შპს ცმლ

დირექტორი

მთ.ბუღალტერი

